<u>ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერია</u>

საკონკურსო დოკუმენტაცია

სივრცულ-მოცულობითი კომპოზიციის კონცეფციაზე - „სოლომონ მეფე“ /ხრესილის ბრძოლის მთავარი გმირი/ ძეგლის მოწყობის ესკიზისა და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვა

სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) შესყიდვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და „კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 22 მაისის №7 ბრძანების შესაბამისად

ტყიბულის მუნიციპალიტეტი

2022 წელი

✓ ინსტრუქცია კონკურსში მონაწილეთათვის

- ✓ კონკურსით შესყიდვა ტარდება სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის (შემდგომში - სისტემა) მეშვეობით.
- ✓ სისტემაში შესყიდვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და ,,კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ” სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 22 მაისის N7 ბრძანების შესაბამისად.
- ✓ კონკურსთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნას ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაცის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში, მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი.
- ✓ დავის შემთხვევაში უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს საკონკურსო კომისია.
- ✓ სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია შსაბამისი წესით დამოწმებული უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ (საჭიროების შემთხვევაში ატვირთულ უნდა იქნას მინდობილობა ან რწმუნებულება).
- ✓ ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია საკონკურსო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება საკონკურსო წინადადების შესაბამისად.
- ✓ საკონკურსო წინადადების წარდგენა შესაძლებელია მხოლოდ სისტემის მეშვეობით, აფიდავიტის პირობებზე დათანხმების, ელექტრონული გარანტიის წარდგენისა და საფასურის გადახდის შემდეგ.
- ✓ ტექნიკური დოკუმენტაციის სისტემაში ატვირთვის შემდეგ, პრეტენდენტმა სისტემის შესაბამის ველში უნდა მიუთითოს საკონკურსო წინადადების ფასი დღგ–ის გარეშე, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებას (პუნქტი 2.);
- ✓ **<u>დაუშვებელია ტექნიკურ დოკუმენტაციაში საკონკურსო წინადადების ფასის მითითება, პრეტენდენტი საკონკურსო წინადადების ფასს უთითებს მხოლოდ სისტემის შესაბამის ველში. პრეტენდენტი, რომელიც ტექნიკურ დოკუმენტაციაში მიუთითებს საკონკურსო წინადადების ფასს ექვემდებარება დისკვალიფიკაციას.</u>**
- ✓ პრეტენდენტი წინადადების ფასში არ ითვალისწინებს დღგ–ს, მიუხედავად იმისა არის თუ არა იგი დღგ–ს გადამხდელი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. იმ შემთხვევაში, თუ გამარჯვებული პრეტენდენტი ხელშეკრულების დადების მომენტისათვის, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, არის დღგ–ს გადამხდელი, ხელშეკრულების ღირებულებაში გათვალისწინებული იქნება საკონკურსო წინადადების ფასის შესაბამისი დღგ–ის ოდენობა.
- ✓ საკონკურსო წინადადების ფასის მითითებისა და ტექნიკური დოკუმენტაციის ატვირთვის შემდეგ, პრეტენდენტს უფლება არ აქვს, შეცვალოს წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია და საკონკურსო წინადადების ფასი.
- ✓ კონკურსანტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი საკონკურსო წინადადება.
- ✓ საუკეთესო საკონკურსო წინადადებისა და გამარჯვებულის გამოვლენისათვის კონკურსში გამოიყენება საკონკურსო პირობებით დადგენილი კრიტერიუმები და მათი ხვედრითი წონები.
- ✓ კონკურსის ჩატარების შესახებ განცხადებით ან/და საკონკურსო დოკუმენტაციით მოთხოვნილი ინფორმაციის არასრულად წარმოდგენის ან ისეთი საკონკურსო წინადადების წარმოდგენის შემთხვევაში, რომელიც არ პასუხობს კონკურსის ჩატარების შესახებ განცხადების ან/და საკონკურსო დოკუმენტაციის ყველა მოთხოვნას, შესაძლებელია გამოიწვიოს კონკურსში მონაწილე პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია.
- ✓ ,,კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ” სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2015 წლის 22 მაისის N7 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ო” ქვეპუნქტით გათვალისწინებული სტატუსის მინიჭებიდან ამავე პუნქტის „პ” ქვეპუნქტით გათვალისწინებული სტატუსის მინიჭებამდე ნებისმიერ დაინტერესებულ პირს უფლება აქვს სისტემის მოდულის – ,,კითხვა/პასუხის“ მეშვეობით მოსთხოვოს შემსყიდველ ორგანიზაციას საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო დოკუმენტაციის დაზუსტება.
- ✓ შესყიდვის პროცედურების შესახებ განმარტებების მისაღებად მიმართეთ საკონკურსო აპარატის წევრს: შორენა გოგილიძე - ტელ. 595 47 43 77

✓ შესყიდვის ობიექტის აღწერა, მიწოდების ვადები და მომსახურების ღირებულება

შესყიდვის ობიექტის აღწერა

ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერია აცხადებს კონკურსს სივრცულ-მოცულობითი კომპოზიციის კონცეფციაზე - „სოლომონ მეფე“ /ხრესილის ბრძოლის მთავარი გმირი/. სივრცულ-მოცულობითი კომპოზიციის კონცეფცია უნდა გადმოსცემდეს მეფე სოლომონ I-ის უდიდეს მნიშვნელობას საქართველოს ისტორიაში და როგორც, ხრესილის ბრძოლის მთავარი გმირის სახეს. ხრესილის ბრძოლა 1757წ. - ქართველთა ლაშქრის ბრძოლა სოლომონ I-ის მეთაურობით ოსმალთა ლაშქრის წინააღმდეგ ხრესილის ველზე (ახლანდელი ტყიბულის მუნიციპალიტეტის ტერიტორია).

გასაწევი მომსახურება მოიცავს: არქიტექტურულ გადაწყვეტას, ესკიზური პროექტის შემუშავებას, საპროექტო სამუშაოების ჩატარებას, დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებასა და საავტორო ზედამხედველობას ძეგლის მოწყობის სამუშაოების დასრულებამდე.

იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოების შესრულების პროცესში აღმოჩნდება საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით გაუთვალისწინებელი დამატებითი სამუშაოების შესრულების ან/და ცვლილების შეტანის აუცილებლობა, ამ დამატებითი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა უნდა განხორციელდეს გამარჯვებული კონკურსანტის მიერ დამატებითი ანაზღაურების გარეშე.

გამარჯვებულმა კონკურსანტმა გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში, შემსყიდველთან შეთანხმებით, უნდა უზრუნველყოს საჯარო განხილვის მოწყობა და მაკეტის დამზადება.

საკონკურსო წინადადების ფასი

ა) საკონკურსო წინადადების ფასი გამოსახული უნდა იყოს ეროვნულ ვალუტაში - ლარში, შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული მიმწოდებლის ყველა ხარჯის გათვალისწინებით, გარდა დღგ-სა. პრეტენდენტი წინადადების ფასში არ ითვალისწინებს დღგ-ს, მიუხედავად იმისა, არის თუ არა იგი დღგ-ის გადამხდელი. იმ შემთხვევაში, თუ გამარჯვებული პრეტენდენტი ხელშეკრულების დადების მომენტისთვის არის დღგ-ის გადამხდელი, ხელშეკრულების ღირებულებაში გათვალისწინებული იქნება საკონკურსო წინადადების ფასის შესაბამისი დღგ-ის ოდენობა;

ბ) საკონკურსო წინადადების ფასი არ უნდა აღემატებოდეს შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებას. საკონკურსო წინადადების ფასს პრეტენდენტი უთითებს მხოლოდ სისტემის შესაბამის ველში. დაუშვებელია ტექნიკურ დოკუმენტაციაში საკონკურსო წინადადების ფასის მითითება. პრეტენდენტი, რომელიც ტექნიკურ დოკუმენტაციაში მიუთითებს საკონკურსო წინადადების ფასს, ექვემდებარება დისკვალიფიკაციას;

გ) პრეტენდენტს საკონკურსო წინადადების ფასის გაანგარიშების წარმოდგენა არ მოეთხოვება

შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები

1.სრული ესკიზისა და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში. (აღნიშნული ვადა არ მოცავს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაზე სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან სხვა აკრედიტებული პირის მიერ გაცემული დადებითი ექსპერტიზის დასკვნის წარმოდგენისათვის საჭირო ვადას)

ძეგლის (ქანდაკების) დადგმის სავარაუდო ლოკაცია

ძეგლის (ქანდაკების) მოწყობის სასურველი ადგილი მოცემულია ორთოფოტოზე, რომელიც თან ერთვის საკონკურსო დოკუმენტაციას. საკონკურსო კომისია ასევე განიხილავს კონკურსანტების მიერ შემოთავაზებულ სხვა ლოკაციას ქალაქ ტყიბულის ტერიტორიაზე, შესაბამისი დასაბუთების საფუძველზე.

✓ კონკურსში გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ წარმოსადგენი საპროექტო დოკუმენტის შემადგენლობა და რაოდენობა

1. გამარჯვების შემთხვევაში, ხელშეკრულების დადების შემდეგ, კონკურსანტმა უნდა უზრუნველყოს სრული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის წარმოდგენა. დოკუმენტაცია უნდა მოიცავდეს:

- ❖ თავფურცელს, ობიექტის დასახელებასა და მისამართს;
- ❖ განმარტებით ბარათს (სამუშაოების აღწერილობა, პროექტის არსი, სამშენებლო ობიექტის ძირითადი პარამეტრები, სამუშაოთა ჩამონათვალი, მშენებლობის ორგანიზაციის რეკომენდაციები და ა.შ.);
- ❖ მშენებლობის ორგანიზაციას (ძირითადი მასალების ამონაკრები და სპეციფიკაციები, საჭირო ტექნიკის ჩამონათვალი, მშენებლობის კალენდარული გრაფიკი);
- ❖ შესასრულებელი სამუშაოების დეტალურ ხარჯთაღრიცხვას;
- ❖ შესაბამის მუშა და საპროექტო ნახაზებს.

❖ ძეგლის (ქანდაკების) მაკეტი

❖ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაზე სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან სხვა აკრედიტებული პირის მიერ გაცემული დადებითი ექსპერტიზის დასკვნას.

2. დასრულებული საპროექტო დოკუმენტაცია, შემსყიდველ ორგანიზაციას უნდა წარედგინოს დაბეჭდილად, ალბომური სახით, 3 (სამი) ეგზემპლარად და ელექტრონულ ვერსიად. (PDF-ის, ხოლო ხარჯთაღრიცხვა „Excel"-ის ფორმატში; ერთი ფაილის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 8 მგბ-ს)

✓ საკონკურსო წინადადების შეფასების წესი

საკონკურსო წინადადების ხარისხის შეფასების და საკონკურსო წინადადების ფასის ხვედრითი წონები:

N	შეფასების კრიტერიუმი	პროცენტული მაჩვენებელი
1	**ხარისხის ჯამური შეფასების ხვედრითი წონა**	**80%**
2	**საკონკურსო წინადადების ფასის ხვედრითი წონა**	**20%**

საუკეთესო საკონკურსო წინადადების გამოვლენისათვის დადგენილი ხარისხის შეფასების კრიტერიუმები და მათი ხვედრითი წონები:

N	შეფასების კრიტერიუმი	პრიორიტეტულობის კოეფიციენტი	შენიშვნა
1	**არქიტექტურული კონცეფცია და ტერიტორიის განვითარების ხედვა**	**0,8**	**არათვლადი კრიტერიუმი, სადაც უპირატესობა ენიჭება საკონკურსო კომისიის წევრების მიერ მინიჭებული ქულების მაღალ საშუალო არითმეტიკულ მაჩვენებელს.**
2	**ძეგლის მოწყობის საპროექტო ღირებულება**	**0,2**	**თვლადი კრიტერიუმები, სადაც უპირატესობა ენიჭება დაბალ ციფრობრივ მაჩვენებელს.**

არქიტექტურული კონცეფცია .

▪ საუკეთესო საკონკურსო წინადადებისა და გამარჯვებულის გამოვლენა მოხდება პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი, კონცეპტუალური მოსაზრებების, არქიტექტურულ-კონსტრუქციული გადაწყვეტისა და საპროექტო წინადადების _ ხედვის საფუძველზე. კონკურსზე წარმოდგენილი წინადადებები შეფასდება იმის მიხედვით, თუ რამდენად ეფექტიანი და შედეგიანი იქნება შემოთავაზებული მეთოდოლოგია და კონცეფტუალური მოსაზრებები დასახული მიზნების მისაღწევად. გათვალისწინებული უნდა იქნას ძეგლის (ქანდაკების) დადგმის ადგილის და მიმდებარე სივრცის პარამეტრები (კომპოზიციის შერჩევისას ანგარიში უნდა გაეწიოს მიმდებარედ არსებულ შენობა-ნაგებობებს) და მისი ისტორიულ-კულტურული მნიშვნელობას).

▪ კონცეფციას უნდა ახლდეს პროექტის შესაძლო პრობლემებისა და რისკების ანალიზი, პროექტის პარამეტრებისა და მასშტაბების, განხორციელების სავარაუდო მეთოდისა და გრაფიკის განსაზღვრით.

▪ ძეგლი (ქანდაკება) უნდა იყოს მონუმენტური სახის, სასურველია ბრინჯაოში ჩამოსხმული, ხოლო კვარცხლბეკი (თუ მსგავსი მოისაზრება) შესაძლებელია იყოს გრანიტის ან სხვა მასალისაგან მოპირკეთებული (ავტორის შეხედულებისამებრ, მითითებული ავტორისათვის სასურველი მასალა) და ემყარებოდეს ეროვნულ ღირებულებებს.

▪ ესკიზი უნდა წარმოადგენდეს სივრცით კომპოზიციას, მასშტაბის თვალსაზრისით არ უნდა იყოს კამერული ხასიათის, აღქმის წერტილები უნდა შეირჩეს განთავსების ადგილის გეგმარებითი მდგომარეობის გათვალისწინებით. წარმოდგენილი უნდა იქნას ესკიზის კომპიუტერული ვერსია 3D ვიზუალიზაცია.

ძეგლის მოწყობის საპროექტო ღირებულება

▪ ესკიზის შესაბამისად დამზადებული ძეგლის (ქანდაკების) მოწყობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულება მთლიანობაში არ უნდა აღემატებოდეს 400000,00 (ოთხასიათას) ლარს. საკონკურსო წინადადებას უნდა ახლდეს ძეგლის (ქანდაკების) მოწყობის სავარაუდო ხარჯთაღრიცხვა საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და საბაზრო ფასების გათვალისწინებით. (ძეგლის (ქანდაკების) მოწყობაზე გამოსაყენებელი ძირითად მასალათა გათვალსწინებით)

✓ საკონკურსო წინადადება უნდა მოიცავდეს შემდეგ გრაფიკულ და ტექსტურ მასალას:

1. **არქიტექტურული კონცეფცია** (კონცეპტუალური მოსაზრებები, პროექტის არსი, სამშენებლო ობიექტის ძირითადი პარამეტრები, მშენებლობის ორგანიზაციის რეკომენდაციები, შესაძლო პრობლემებისა და რისკების ანალიზიდა ა.შ.) და **ტერიტორიის განვითარების ხედვა** განმარტებითი ბარათის სახით (ტექსტური ფორმით)

2. საპროექტო ტერიტორიის ვიზუალიზაცია (წარმოდგენილი უნდა იქნას ესკიზის კომპიუტერული ვერსია 3D ვიზუალიზაცია)

3. ძეგლის (ქანდაკების) მოწყობის სავარაუდო ხარჯთაღრიცხვა.

4. კონკურსანტის რეკვიზიტები

✓ საკონკურსო კომისიის აპარატის წევრის ვინაობა და საკონტაქტო ინფორმაცია, რომელსაც უფლება აქვს გასცეს ინფორმაცია და განმარტებები შესყიდვის პროცედურების შესახებ

- საკონკურსო დოკუმენტაციის შესახებ დამატებითი ინფორმაციისა და შესყიდვის პროცედურების შესახებ განმარტებების მისაღებად დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: შორენა გოგილიძე _ საკონკურსო კომისიის აპარატის წევრი, მისამართზე: ქ. ტყიბული, კ.ლომაძის მოედანი N3, საკონტაქტო ტელეფონი: +995 595 47 43 77.

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი

ქ. ---------- ---------- 2022 წელი

ერთი მხრივ, ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერია (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერის დავით ჩერქეზიშვილის სახით (რეკვიზიტები: მისამართი: ქ. ტყიბული, კ.ლომაძის მოედანი N3, საიდენტიფიკაციო კოდი:219636259, საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიში)

და მეორე მხრივ ---------- (შემდგომში - მომწოდებელი), წარმოდგენილი ---------- სახით (რეკვიზიტები მისამართი: ---------- საიდენტიფიკაციო კოდი: ----------, ტელეფონის ნომერი ----------, მომსახურე ბანკი ----------, ბანკის კოდი ----------, ანგარიშის ნომერი ----------)

შემდგომში თითოეული ცალ-ცალკე წოდებული, როგორც „მხარე“, ხოლო ერთობლივად წოდებულნი, როგორც „მხარეები“,„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის, კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 22 მაისის №7 ბრძანების და სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემით გამოცხადებული კონკურსის (CON-----) შედეგების საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომში - ხელშეკრულება) შემდეგზე:

მუხლი 1. შესყიდვის ობიექტის დასახელება

1. შესყიდვის ობიექტია სივრცულ-მოცულობითი კომპოზიციის კონცეფციაზე - „სოლომონ მეფე“ /ხრესილის ბრძოლის მთავარი გმირი/ ძეგლის მოწყობის ესკიზისა და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურება.

2. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს საავტორო ზედამხედველობა მომზადებული პროექტის განხორციელების/მშენებლობის პროცესში, საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით კონსულტაციის გაწევა და საჭიროების შემთხვევაში, საპროექტო დოკუმენტაციის კორექტირება.

3. წინამდებარე ხელშეკრულების ფარგლებში მომწოდებელმა უნდა უზრუნველყოს მაკეტის დამზადება და საჯარო განხილვის მოწყობა.

მუხლი 2. ხელშეკრულების ღირებულება და შესაბამისი CPV კოდი

1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს --- ლარს (---------- ლარი), საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის CPV კოდია: 71320000 - საინჟინრო მომსახურებები.

მუხლი 3. მომსახურების გაწევის ვადა და ადგილი

1. მიმწოდებელი ვალდებულია სრული ესკიზისა და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მიწოდება განხორციელოს ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში.

2. ამ მუხლის პირველ პუნქტში გაწერილ ვადაში შემსრულებელი ვალდებულია შემსყიდველს წარუდგინოს ტექნიკური დოკუმენტაციის მოთხოვნების შესაბამისად შედგენილი სრული პროექტ(ებ)ი. აღნიშნული ვადა არ მოიცავს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაზე სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან სხვა აკრედიტებული პირის მიერ გაცემული დადებითი ექსპერტიზის დასკვნის წარმოდგენისათვის საჭირო ვადას

3. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველთან წარმოდგენილი პროექტ(ებ)ი სრულად არ შეესაბამება ტექნიკური დავალების მოთხოვნებს (აკლია რომელიმე მოთხოვნილი პუნქტი) მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია პროექტი დაუბრუნოს შემსრულებელს წარმოქმნილი ხარვეზის აღმოსაფხვრელად, რისთვისაც განუსაზღვრავს გონივრულ ვადას მაგრამ არაუმეტეს 5 (ხუთი) კალენდარულ დღეს. იმ შემთხვევაში, თუ განსაზღვრულ ვადაში შემსრულებელი სრულად არ აღმოფხვრის (არ აღმოფხვრის ან/და ნაწილობრივ აღმოფხვრის) წარმოქმნილ ხარვეზ(ებ)ს მუნიციპალიტეტი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება შემსრულებელთან ყოველგვარი გაფრთხილების/შეტყობინების გარეშე.

4. მომსახურების გაწევის ადგილია ქ. ტყიბული, ----------

მუხლი 4. ანგარიშსწორების წესი

1. ანგარიშსწორება იწარმოება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, საქართველოს ეროვნულ ვალუტაში, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რეკვიზიტებზე.

2. ანგარიშწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტისა და დამატებითი ღირებულების გადასახადის ანგარიშ-ფაქტურის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) წარდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 5. მომსახურების შესაბამისობა

1. ხელშეკრულების პირველი მუხლით გათვალისწინებული მომსახურება მიმწოდებლის მიერ უნდა შესრულდეს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ჯეროვნად, მსგავსი მომსახურებისათვის უკვე დადგენილი სტანდარტების, ხელშეკრულებითა და მასზე თანდართული ტექნიკური დავალებით გათვალისწინებულ პირობების შესაბამისად.

2. ამ მუხლში განსაზღვრული წესებიდან და ნორმებიდან მიმწოდებლის მხრიდან ნებისმიერი გადახვევის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია, არ მიიღოს მომსახურება ან/და მიმწოდებლის მიმართ გამოიყენოს ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომები.

3. მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს უხარისხოდ შესრულებული მომსახურების ან მისი ნაწილის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე.

მუხლი 6. გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

1. მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურება მიღებულად ჩაითვლება პროექტირებას დაქვემდებარებულ ობიექტზე მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

2. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაზე სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან სხვა აკრედიტებული პირის მიერგაცემული ექსპერტიზის დადებითი დასკვნის წარმოდგენის საფუძველზე. ექსპერტიზის დასკვნის მომზადების ღირებულება ანაზღაურდება მიმწოდებლის მიერ.

მუხლი 7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

1. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) მომსახურების გაწევის პროცესში იხელმძღვანელოს ხელშეკრულების მე-5 მუხლის პირველ პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად;

ბ) მომსახურება გასწიოს ხელშეკრულების მე-3 მუხლში განსაზღვრულ ვადაში და პირობებით;

გ) საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა უზრუნველყოს პროექტირებას დაქვემდებარებული თითოეული ობიექტის შინაარსიდან გამომდინარე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

დ) სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისას, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში გამოვლენილი უზუსტობების ან/და შეუსაბამობების შემთხვევაში, შემსყიდველის მიერ წერილობითი მიმართვიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში, საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის კორექტირება და კორექტირებული დოკუმენტაციის შემსყიდველისათვის მიწოდება;

ე) მომსახურების გაწევის პროცესში, მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს ზედამხედველობისა და კონტროლის განმახორციელებელ პირთა მიერ გაცემული, როგორც ზეპირი ასევე, წერილობითი რეკომენდაციების და მითითებების შესრულება;

ვ) გადასცეს შემსყიდველს სრული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, რომელიც წარდგენილი უნდა იქნეს მხოლოდ ქართულ ენაზე;

შემსყიდველი ვალდებულია:

ა) შეუფერხებლად აუნაზღაუროს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება ხელშეკრულებითა და დეტალური ტექნიკური დავალებით გათვალისწინებული პირობებისა და ვადების შესაბამისად.

3. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, ნებისმიერ დროს, შემსყიდველი უფლებამოსილია, განახორციელოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება);

ბ) არ ჩაიბაროს რაოდენობრივად, ხარისხობრივად ან უფლებრივად ნაკლიანი გაწეული მომსახურება.

მუხლი 8. კონტროლი (ინსპექტირება)

1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების და შესრულების ვადების დაცვის კონტროლს (ინსპექტირება) ახორციელებს მიერ შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი/სპეციალური კომისია

2. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე, შემსყიდველი უფლებამოსილია, განახორციელოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება).

3. მიმწოდებელი ვალდებულია, საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებითა და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

4. მიმწოდებელი ვალდებულია, საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტ(ებ)ის აღმოფხვრა და კონტროლის (ინსპექტირების) ხელახლა განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება.

5. მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს ზედამხედველობისა და კონტროლის განმახორციელებელ პირთა მიერ გაცემული, როგორც ზეპირი, ასევე, წერილობითი რეკომენდაციების და მითითებების შესრულება.

მუხლი 9. ფორს-მაჟორი

1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობით ან/და არაჯეროვნად შესრულებით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობა ან/და არაჯეროვანი შესრულება გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (სტიქიური უბედურება, ეპიდემია, ომი, კარანტინი, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესება, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება, საზოგადოებრივი არეულობა, ცვლილებები კანონმდებლობაში და ა.შ.) ზეგავლენით, რომლის წინასწარ განსაზღვრა ან თავიდან აცილება მხარეების შესაძლებლობას აღემატებოდა. დაუძლეველი ძალით გამოწვეული მოვლენები ეწოდება მოვლენებს, რომელთა წარმოშობასა და განვითარებაზე მხარეებს ზეგავლენის მოხდენა არ შეუძლიათ (ფორს-მაჟორი).

2. მხარე, რომელსაც ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების მიზეზად ფორს-მაჟორი მოჰყავს, ვალდებულია, დაუყოვნებლივ, მაგრამ ფორს-მაჟორის მოვლენის დადგომიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა, წერილობით აცნობოს მეორე მხარეს ასეთი მოვლენის დადგომისა და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ; წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობით ან/და არაჯეროვნად შესრულებით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან. ამასთან, მეორე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, შესაბამისმა მხარემ უნდა წარადგინოს ფორს-მაჟორის არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი, და დაასაბუთოს, რომ ფორს-მაჟორმა არსებითად ხელი შეუშალა მხარეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შესრულებაში.

მუხლი 10. პასუხისმგებლობა

1. მომსახურების გაწევის ვადების დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

2. იმ შემთხვევაში დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,5%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს, ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად (გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ვადების დარღვევისა) შესრულებისათვის დამრღვევი მხარე ვალდებულია, მეორე მხარის მოთხოვნისთანავე გადაუხადოს მას პირგასამტეხლოს სახით ხელშეკრულების ღირებულების 5% ასეთი მოთხოვნის მიღებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღეში და უზრუნველყოს დარღვეული ვალდებულების დაუყოვნებლივ გამოსწორება.

4. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობით ან არაჯეროვნად შესრულებით მესამე პირისათვის მიყენებული ნებისმიერი სახის ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ეკისრება მიმწოდებელს.

5. მიმწოდებლის მიერ ჩადენილი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევისათვის, შემსყიდველისათვის დაკისრებული ადმინისტრაციული სახდელისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება მიმწოდებელს.

6. ამ მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე მიმწოდებლისთვის დაკისრებული პირაგასამტეხლოს დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია, მიმწოდებელს შესრულებული სამუშაოების ღირებულებიდან დაუკავოს თანხა დაკისრებული პირგასამტეხლოს ოდენობით და მოახდინოს ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 11. ხელშეკრულების შეწყვეტა

1. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მეორე მხარეს შეუძლია, მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ, რაზედაც აცნობებს მეორე მხარეს წერილობითი ფორმით.

2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მეორე მხარეს ხელშეკრულებით განსაზღვრული სხვა პირობების შესრულებისაგან.

3. ხელშეკრულების შეწყვეტა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ხორციელდება მხარეთა შორის დანართის გაფორმების გზით.

4. მხარეთა შეუთანხმებლობის შემთხვევაში, ხელშეკრულების თითოეულ მხარეს უფლება აქვს, ცალმხრივად, წერილობითი ფორმით შეწყვიტოს ხელშეკრულება.

5. შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია, ვადამდე, ცალმხრივად შეწყვიტოს ეს ხელშეკრულება თუ:

ა) მიმწოდებელი არღვევს (არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს) ხელშეკრულებითა და დეტალური ტექნიკური დავალებით განსაზღვრულ ვალდებულებას;

ბ) მიმწოდებლის მიმართ მიმდინარეობს გაკოტრების ან გადახდისუუნარობის საქმისწარმოება (მიუხედავად მისი დაწყების დროისა) ან ხელშეკრულების ფაორმების შემდგომ, დაიწყო მიმწოდებლის ლიკვიდაციის პროცედურა;

გ) მიმწოდებლის ქონებას დაედო ყადაღა, თუ ეს გარემოება ზეგავლენას ახდენს ან შესაძლებელია, ზეგავლენა მოახდინოს ხელშეკრულები გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შესრულებაზე;

დ) მიმდინარეობს მიმწოდებლის რეორგანიზაცია, თუ ეს გარემოება ზეგავლენას ახდენს ან შესაძლებელია, მოახდინოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შესრულებაზე;

ე) პროექტირებას დაქვემდებარებულ კონკრეტულ ობიექტზე მიღებული დეტალური ტექნიკური დავალებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის ვადა მიმწოდებლის მიერ დაირღვა და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის წარდგენის ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობა შეადგენს 15 (თხუთმეტი) კალენდარულ დღეს;

ვ) ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მიმწოდებელმა ხელშეკრულების დადების მიზნით ჩაიდინა არაკეთილსინდისიერი ქმედება;

ზ) ინსპექტირების (ექსპერტიზის) პირველ ეტაპზე გამოთქმულიშენიშვნები არ იქნება აღმოფხვრილი, აღმოფხვრილი იქნება არასრულფასოვნად ან შესწორებული იქნება ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტების მოთხოვნების შეუსაბამოდ, რაც დაფიქსირდება ინსპექტირების ხელმეორე ანგარიშში;

თ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტშიმოცემული საფუძვლებით ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 10%-ის ოდენობით.

მუხლი 12. უფლებების გადაცემა

1. ხელშეკრულების არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება, გადასცეს მესამე პირს ხელშეკრულებით განსაზღვრული თავისი უფლებები და მოვალეობები მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

2. ხელშეკრულების ფარგლებში მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

მუხლი 13. შეტყობინება

1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, უნდა გაიგზავნოს წერილის, ოფიციალური ელექტრონული ფოსტის (შემსყიდველის შემთხვევაში - @, მიმწოდებლის შემთხვევაში - @) ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარდგენით, ხელშეკრულებაში მითითებულ მეორე მხარის მისამართზე.

2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინებაში ძალაში შესვლისათვის დადგენილ დღეს იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

მუხლი 14. სხვა პირობები

1. ხელშეკრულებაში შესატანი ნებისმიერი ცვლილება ან დამატება უნდა გაფორმდეს მხარეთა შორის წერილობითი შეთანხმების საფუძველზე ხელშეკრულების დანართის გაფორმების გზით. ამ პუნქტის შესაბამისად გაფორმებული ხელშეკრულების დანართი მხარეთა ხელმოწერისთანავე წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ღირებულების გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა, რა დროსაც დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

3. ხელშეკრულება რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

4. მხარეთა შორის წარმოშობილი სადავო საკითხები წყდება ურთიერთშეთანხმების გზით. მხარეთა მიერ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავა გადაწყდება საქართველოს სასამართლოს მეშვეობით საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

5. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, 2 (ორი) ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი - შემსყიდველთან და ერთი პირი - მიმწოდებელთან).

6. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

მუხლი 15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 2022 წლის _____ ჩათვლით.


google.com/maps/@42.34904,42.9979932,246m/data=!3m1!1e3?hl=en
Search Google Maps
Restaurants
Hotels
Attractions
Museums
Transit
Pharmacies
ATMs
Aversi
ავერსი
Kutaisi-tkibuli-ambrolauri
ძეგლის (ქანდაკების)
განთავსების ადგილი
ოეინაბიჯი
Temporarily closed
Bank of Georgia ATM
საქართველოს
ბანკის ბანკომატი
წმინდა გიორგის
სახელობის ეკლესია
ეკლესიის პარკი
Park
Google
Layers
Imagery ©2022 CNES / Airbus, Maxar Technologies, Map data ©2022
Georgia
Terms
Privacy
Send feedback
20 m
Введите здесь текст для поиска
15:31
17.09.2022